ᲨᲔᲡᲧᲘᲓᲕᲘᲡ

1

შეთანხმება
ზუგდიდის მუნიციპალიტეტსა და შპს „თავადი-I“-ს შორის 2016 წლის 22 დეკემბერს დადებულ №316 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანაზე

ქ. ზუგდიდი *23 დეკემბერი, 2016 წელი*

ერთი მხრივ, *ზუგდიდის მუნიციპალიტეტი* (შემდგომში _ შემსყიდველი), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის ლაშა გოგიას სახით და მეორე მხრივ, *შპს „თავადი-I“* (შემდგომში, ხელშეკრულების ტექსტში _ მიმწოდებელი), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, დირექტორის ელგუჯა გურიელის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც _ მხარეები, 2016 წლის 22 დეკემბერს გაფორმებული №316 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში _ ხელშეკრულება) მე-9 მუხლისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის მშენებლობის სამსახურის 2016 წლის 23 დეკემბრის №4952-02 წერილის გათვალისწინებით ვთანხმდებით შემდეგზე:

აღწერილობითი ნაწილი:

2016 წლის 22 დეკემბერს დადებულ №316 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი ახორციელებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჩხორიას, ჯიხაშკარის, ტყაიას, რიყეს, ზედაეწერისა და ჭკადუაშის ადმინისტრაციულ ერთეულებში სპეცტექნიკის საშუალებით ცენტრალური და შიდა საუბნო გზების თოვლისაგან გაწმენდის მომსახურებას. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს *6000 (ექვსი ათასი)* ლარს, მომსახურების დასრულების ვადად განსაზღვრულია 2016 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის მშენებლობის სამსახურმა 2016 წლის 23 დეკემბრის №4952-02 წერილით იტყობინება ხელშეკრულებაში შესატანი ცვლილების შესახებ. კონკრეტულად, წერილში აღნიშნულია, რომ სამუშაოების მიმდინარეობისას შეიცვალა ადმინისტრაციული ერთეულების ჩამონათვალი. კერძოდ, მიმწოდებლის მიერ, სამუშაოები შესრულდა ზედაეწერის, ჭკადუაშისა და ტყაიის ადმინისტრაციულ ერთეულებში. აღნიშნულის გათვალისწინებით, მშენებლობის სამსახური, მიზანშეწონილად მიიჩნევს ხელშეკრულებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები, სახელშეკრულებო თანხის კორექტირების გარეშე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ჩამონათვალის შეცვლასთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს ცვლილება ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1. პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   პუნქტი 1.1. _ „ხელშეკრულების საგანია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის სახსრებით *(გამგეობის სარეზერვო ფონდი)* შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ზედაეწერის, ჭკადუაშისა და ტყაიის ადმინისტრაციულ ერთეულებში სპეცტექნიკის საშუალებით ცენტრალური და შიდა საუბნო გზების თოვლისაგან გაწმენდის მომსახურების (შემდგომში _ მომსახურება) შესყიდვა *(CPV კოდი: - 90600000 - ქალაქის ან სოფლის ზონების დასუფთავება და სანიტარიული მომსახურება, ასევე მათთან დაკავშირებული მომსახურებები; 90620000 - თოვლისაგან გაწმენდა)*“.

2. ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები და დებულებები უცვლელია და მხარეები ადასტურებენ მათ მიმართ თავიანთ ვალდებულებებს, ისევე როგორც ხელშეკრულების მიმართ.
3. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხი თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან (სამი ეგზემპლარი შემსყიდველთან, ხოლო ერთი პირი მიმწოდებელთან).

შ ე მ ს ყ ი დ ვ ე ლ ი	*მ ი მ წ ო დ ე ბ ე ლ ი*
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი იურიდიული და ფაქტიური მისამართი: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90 საინდენტიფიკაციო კოდი: *220416967*	*შპს „თავადი-I“* იურიდიული და ფაქტიური მისამართი: ქ. ზუგდიდი ზვ. გამსახურდიას გამზ 12 საიდენტიფიკაციო კოდი: *220402632*
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი: ..... /ლ. გოგია/	*შპს „თავადი-I“-ს დირექტორი:* ..... /ე. გურიელი/

საქართველო
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის
მშენებლობის სამსახური

N 4952-02
23/12/2016

4952-02-3-201612231735

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის

გამგებელს ბატონ ლაშა გოგიას

ბატონო ლაშა,

მიმიდინარე წლის დეკემბრის თვეში უხვთოვლიანობის გამო აუცილებელი გახდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ცენტრალური და შიდა საუბნო გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდის სამუშაოების ჩატარება, აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად 2016 წლის 22 დეკემბერს გაფორმდა ხელშეკრულებები. სამუშაოების მიმდინარეობისას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ერთეულების ჩამონათვალი შეიცვალა: N316 ხელშეკრულებით სამუშაოები ჩატარდა ზედაეწერის, ჭკადუაშისა და ტყაიის ადმინისტრაციულ ერთეულებში. N317 ხელშეკრულებით გრიგოლიშისა და აბასთუმნის ადმინისტრაციულ ერთეულებში, N318 ხელშეკრულებით ნაცატუს, ნარაზენისა და ჭითაწყარის ადმინისტრაციულ ერთეულებში, N319 შამადელას, ოდიშისა და ნაცატუს ადმინისტრაციულ ერთეულებში, აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია ზემოთხსენებულ ხელშეკრულებებში შევიდეს სათანადო ცვლილებები, სახელშეკრულებო თანხის კორექტირების გარეშე.

გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსახურს გაატარონ საჭირო ღონისძიებები.

ლაშა ჯაიანი

სამსახურის უფროსი

მშენებლობის სამსახური

2100 ზუგდიდი. რუსთაველის ქ. 90, ტელ: (0415) 25 00 76, 595 22 15 01, E- mail: zmg.kapitaluri@gmail.com